სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

13/03/2026

MES 8 26 0000309265

ბრძანება

თბილისი

2026 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ

,,წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების" პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2025 წლის 31 დეკემბრის N1864218 ბრძანების დანართის ქვეპროგრამა 3-ის (საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამა) და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს “2026 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები” ამ ბრძანების დანართი №1 -ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს 2026 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატებისთვის ჩასატარებელ შესარჩევ ტურში მონაწილის სააპლიკაციო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი №2 -ის შესაბამისად;
3. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

ელექტრონული
მფლობელსაუღი
ელექტრონული

2026 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს ამ დანართის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კონკრეტული კლასის/კლასების თითოეულ საგანში ჩატარებული ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა;

2. საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადა – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ პრიორიტეტულად აღიარებული საერთაშორისო შეჯიბრი (ჩემპიონატი) კონკრეტულ საგანში/საგნებში სასკოლო ასაკის მოსწავლეებს შორის, რომელშიც ქვეყნები წარმოდგენილია ნაკრები გუნდების სახით. საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები შეირჩევიან ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის საფუძველზე. საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაა ასევე საერთაშორისო შეჯიბრი (ჩემპიონატი) კონკრეტულ საგანში/საგნებში სასკოლო ასაკის მოსწავლეებს შორის, რომელშიც მონაწილეობს არანაკლებ 20 ქვეყნის ნაკრები გუნდი, რომლის წევრებიც შეირჩევიან კონკურსის საფუძველზე;

3. დელეგაცია – კონკრეტულ საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე საქართველოს წარმომადგენლობა, რომელშიც შედიან ნაკრები გუნდის წევრი - მოსწავლეები და ნაკრები გუნდის მწვრთნელები/პედაგოგები. დელეგაციების შემადგენლობა მტკიცდება სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატი – „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის №111/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტისა და ამ დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად შერჩეული მოსწავლეები, რომლებიც საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევ ტურებში მიიღებენ მონაწილეობას;

5. ნაკრები გუნდის წევრი – ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებისაგან შესარჩევი ტურების შედეგად, ამ დანართის შესაბამისად გამოვლენილი მოსწავლე, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში.

6. ნაკრები გუნდის რეზერვისტი (შემდგომში – რეზერვისტი) – პირი, რომელიც ნაკრები გუნდის წევრის ავადმყოფობის, საკუთარი ინიციატივით ნაკრები გუნდის წევრობაზე უარის თქმის ან სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევაში, ჩაანაცვლებს ნაკრები გუნდის შესაბამის წევრს.

7. ლიდერი – ფონდის მიერ „საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული მთავარი მწვრთნელი, რომელიც ხელმძღვანელობს ნაკრები გუნდის წევრების/რეზერვისტების მომზადებას/წვრთნასა და ნაკრები გუნდის მონაწილეობას

საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში.

8. თანალიდერი – ფონდის მიერ „საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის" ფარგლებში დასაქმებული მწვრთნელი, რომელიც ლიდერთან ერთად წარმართავს საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადისათვის ნაკრები გუნდის წევრების/რეზერვისტების მომზადებას/წვრთნას და ნაკრები გუნდის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობის პროცესს.

9. ასისტენტი – ფონდის მიერ „საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის" ფარგლებში დასაქმებული პირი, რომელიც ეხმარება ლიდერსა და თანალიდერს ნაკრები გუნდის წევრების/რეზერვისტების საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადისათვის მომზადებასა და ნაკრები გუნდის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობის პროცესში.

10. მწვრთნელთა გუნდი - ამ მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით განსაზღვრული პირები (შემდგომში - მწვრთნელები), რომლებიც წვრთნიან ნაკრები გუნდის წევრებს/რეზერვისტებს და პასუხისმგებელნი არიან საქართველოს ფარგლებს გარეთ, დელეგაციის წინაშე წამოჭრილი ყველა პრობლემის მოგვარებაზე მათი კომპეტენციის ფარგლებში.
11. დამხმარე პედაგოგი - ფონდის მიერ „საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის" ფარგლებში დასაქმებული პირი, რომელიც ეხმარება ლიდერსა და თანალიდერს ნაკრები გუნდის წევრების/რეზერვისტების საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადისათვის მომზადების და საჭიროების შემთხვევაში ოლიმპიადაში მონაწილეობის პროცესში.

12. კოორდინატორი - ფონდის მიერ „საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის" ფარგლებში დასაქმებული პირი, რომელიც უზრუნველყოფს 2026 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობასთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელების ადმინისტრირებას.

13. დამხმარე კოორდინატორი - ფონდის მიერ „საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის" ფარგლებში დასაქმებული პირი, რომელიც უზრუნველყოფს 2026 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საქმიანობების განხორციელებას.

14. სააპლიკაციო განაცხადი - ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მიერ შესარჩევი ტურების წინ შესავსები სააპლიკაციო ფორმა, დამტკიცებული ამ ბრძანების №2 დანართის შესაბამისად.

15. საპრეტენზიო კომისია - შესარჩევ ტურებში მიღებულ შეფასებებთან და პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით, ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატთა საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, საგნების მიხედვით შექმნილი დროებითი კომისიები. საპრეტენზიო კომისიების შემადგენლობა და საპრეტენზიო განაცხადის ფორმა მტკიცდება ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებით.

16. საპრეტენზიო განაცხადი - განაცხადი, რომელსაც ავსებს ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატი შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასების ან შესარჩევი ტურის პროცედურული დარღვევის გასაჩივრებისას.

17. საბოლოო რეიტინგული სია - შესარჩევი ტურებისა და საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ნაკრები გუნდის წევრებისა და რეზერვისტების სია, რომელიც შედგენილია შესარჩევ ტურებში მოპოვებული ქულების

კლებადობის მიხედვით.

მუხლი 2. საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადები, რომლებშიც მონაწილეობს საქართველო

1. საქართველო 2026 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებზე დელეგაციებს წარადგენს შემდეგ ხუთ დისციპლინაში:

ა) ფიზიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ფიზიკის 56–ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, IPhO 2026 (4-12 ივლისი, ქალაქი ბუკარამანგა, კოლუმბია, დასწრებული ფორმატი);

ბ) მათემატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება მათემატიკის 67-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IMO 2026 (10–21 ივლისი, ქალაქი შანხაი, ჩინეთი, დასწრებული ფორმატი);

გ) ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ინფორმატიკის 38-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IOI 2026 (9-16 აგვისტო, ქალაქი ტაშკენტი, უზბეკეთი, დასწრებული ფორმატი);

დ) ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ბიოლოგიის 37-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IBO 2026 (12-19 ივლისი, ქალაქი ვილნიუსი, ლიეტუვა, დასწრებული ფორმატი);

ე) ქიმიაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ქიმიის 58-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IChO 2026 (10-19 ივლისი, ქალაქი ტაშკენტი, უზბეკეთი, დასწრებული ფორმატი);

მუხლი 3. საქართველოს ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატები

1. ფონდი ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევ ტურებში მონაწილეობისათვის იწვევს მოსწავლეებს - ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებს.
2. საქართველოს ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატები ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში შეირჩევიან 2025-2026 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგების საფუძველზე; საქართველოს ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატები ინფორმატიკაში შეირჩევიან სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ინფორმატიკის ოლიმპიადის შედეგების საფუძველზე. ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატები გადიან შესარჩევ ტურებს. შესარჩევი ტურების შედეგებისა და საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებსა და სარეზერვო შემადგენლობას ამტკიცებს ფონდი.

მუხლი 4. საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევი ტურები

1. ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატები გადიან შესარჩევ ტურებს.
2. თითოეული ნაკრები გუნდის წევრებს, რეზერვისტებთან ერთად, საერთაშორისო ოლიმპიადისთვის წვრთნიან ნაკრები გუნდის მწვრთნელები (ლიდერი, თანალიდერი, ასისტენტი) და დამხმარე პედაგოგ(ებ)ი.
3. შესარჩევ ტურებს ატარებს ფონდი.
4. ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატი ავსებს ამ ბრძანების №2 დანართით გათვალისწინებულ სააპლიკაციო განაცხადს და გამოხატავს თანხმობას შესარჩევ ტურში მონაწილეობაზე, ფონდის მიერ დამტკიცებული პირობების მიხედვით.
5. ფონდი უზრუნველყოფს https://olympics.emis.ge პორტალზე შესარჩევი ტურების მონაწილე მოსწავლეების რეგისტრაციას.
6. ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტი

საგნის ნაკრების შესარჩევ ტურში. ერთზე მეტი საგნის ნაკრები გუნდის წევრობის მოპოვების შემთხვევაში, თუ საერთაშორისო სასწავლო ოლომპიადების ჩატარების თარიღები ემთხვევა ერთმანეთს, კანდიდატი ირჩევს მხოლოდ ერთი საგნის ნაკრები გუნდის წევრობას, ხოლო მის ნაცვლად შესაბამისი საგნის ნაკრები გუნდის წევრობას მოიპოვებს რეიტინგული სიის მომდევნო მოსწავლე.

7. საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევ ტურებში დაგროვებული ქულების შესაბამისად, ფონდი ადგენს მოსწავლეთა რეიტინგულ სიას, რომლის მიხედვით განისაზღვრება ნაკრები გუნდების წევრები და რეზერვისტი მოსწავლეები.

8. თითოეულ საგანში ნაკრები გუნდის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) ფიზიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა რაოდენობა შეადგენს 5 მოსწავლეს. რეიტინგული სიის მომდევნო 4 მოსწავლე განისაზღვრება, როგორც ნაკრები გუნდის რეზერვისტი;

ბ) მათემატიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა რაოდენობა შეადგენს 6 მოსწავლეს. რეიტინგული სიის მომდევნო 4 მოსწავლე განისაზღვრება, როგორც ნაკრები გუნდის რეზერვისტი;

გ) ბიოლოგიის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა რაოდენობა შეადგენს 4 მოსწავლეს. რეიტინგული სიის მომდევნო 4 მოსწავლე განისაზღვრება, როგორც ნაკრები გუნდის რეზერვისტი;

დ) ქიმიის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა რაოდენობა შეადგენს 4 მოსწავლეს. რეიტინგული სიის მომდევნო 4 მოსწავლე განისაზღვრება, როგორც ნაკრები გუნდის რეზერვისტი;

ე) ინფორმატიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა რაოდენობა შეადგენს 4 მოსწავლეს. რეიტინგული სიის მომდევნო 4 მოსწავლე განისაზღვრება, როგორც ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

9. იმ შემთხვევაში, როდესაც ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკისა და ბიოლოგიის შესარჩევი ტურების შედეგად, ორი ან მეტი კანდიდატი დააგროვებს ქულების თანაბარ რაოდენობას ისე, რომ ნაკრები გუნდის წევრების დადგენილი რაოდენობის შერჩევა ვერ ხერხდება, უპირატესობა ენიჭება უფროსკლასელს. თუ დაემთხვევა კლასი, ნაკრები გუნდის წევრი ან რეზერვისტი შეირჩევა 2026 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში მონაწილის მიერ მიღებული შედეგის მიხედვით. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ მოხერხდა შერჩევა, გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე და მესამე ტურებში მონაწილის მიერ მიღებული შედეგი. ინფორმატიკის ოლიმპიადის შესარჩევ ტურებში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ამოცანების ამოხსნისთვის დახარჯული ჯამური დროის სიმცირეს.

10. ნაკრები გუნდის წევრები და რეზერვისტები გადიან სავალდებულო მომზადებას/წვრთნას.

11. ნაკრები გუნდების წევრების შესარჩევ ტურებში არ განისაზღვრება ასაკობრივი ჯგუფები. ყველა ასაკისა და კლასის მოსწავლე მონაწილეობს ერთად.

12. თითოეული საგნის თითოეულ შესარჩევ ტურში, ყველა ასაკისა და კლასის მოსწავლე მუშაობს კონკრეტული ტურისთვის დადგენილ ერთსა და იმავე ამოცანებზე, რომელთა შინაარსი და სირთულე ესადაგება შესაბამისი საგნის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადის მოთხოვნებს.

13. შესარჩევ წერით ტურებში მოსწავლეებს გადაეცემათ სპეციალური სამუშაო ფურცლები, რომელზეც მათ უნდა იმუშაონ. ფონდი უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის გადასაცემი

სპეციალური ფურცლების კოდირებასა და მათ სათანადო რეგისტრაციას.

14. მოსწავლეები ფონდის წარმომადგენელს აბარებენ ნაშრომს. შესარჩევი ტურებიდან რაიმე სახის ფურცლების (მათ შორის ნაშრომის ასლი, ე.წ. სამუშაო ფურცლები და სხვა) გატანა დაუშვებელია.

15. დაგვიანებით გამოცხადებული მოსწავლე არ დაიშვება შესარჩევ ტურზე. შესარჩევ ტურზე მოსწავლის გამოუცხადებლობა ან დაგვიანებით გამოცხადება მოსწავლეს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი შესარჩევი ტურის ჩატარება, მიუხედავად იმისა გამოუცხადებლობა/დაგვიანება საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა.

16. შესარჩევ ტურებზე არ დაიშვება/მოიხსნება მოსწავლე, რომელიც არ წარადგენს ამ დანართის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს, რაიმე ფორმით ხელს შეუშლის შესარჩევი ტურის ნორმალურად ჩატარებას, შეურაცხყოფას მიაყენებს შესარჩევ ტურში მონაწილე მოსწავლეებს ან სხვა დამსწრე პირებს ან/და დაარღვევს შესარჩევი ტურის ადმინისტრირებისათვის ამ დანართით დადგენილ წესებს.

17. ნაშრომების გასწორების პროცესის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 დღისა უზრუნველყოფილი იქნება ტესტების/ამოცანების და ტესტის/ამოცანების პასუხების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

მუხლი 5. ფიზიკის ნაკრები გუნდის შესარჩევი ტური

1. ფიზიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების შერჩევის პროცედურა ორი ტურისაგან შედგება. შესარჩევ ტურებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

ა) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-11 და მე-12 კლასის ფიზიკის 2025-2026 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-10 ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი 10 მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად: თუ მე–10, მე-11 და მე-12 ადგილებს იყოფს სამი მოსწავლე, შესარჩევ ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე);

ბ) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-10 კლასის ფიზიკის 2025-2026 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-5 ადგილი. თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი 5 მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად: თუ მე-5, მე-6 და მე-7 ადგილებს იყოფს სამი მოსწავლე, შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს სამივე).

2. პირველ თეორიულ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად მიეცემათ 5 ასტრონომიული საათი და შეფასდება 30 ქულით; დროის გადაცილების შემდეგ ჩაბარებული ნაწერი არ გასწორდება და მონაწილეს დაეწერება შეფასება 0.
3. მეორე - პრაქტიკულ-თეორიულ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად მიეცემათ 3 საათნახევარი და შეფასდება 15 ქულით; დროის გადაცილების შემდეგ ჩაბარებული ნაწერი არ გასწორდება და მონაწილეს დაეწერება შეფასება 0.
4. ფიზიკაში მოსწავლეთა რეიტინგული სია დადგინდება ორივე ტურში მიღებულ ქულათა საერთო ჯამის მიხედვით.

5. ფიზიკის ნაკრები გუნდის წევრები იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც რანჟირებული სიის მიხედვით დაიკავებენ 1-დან მე-5 ადგილებს. რეიტინგულ სიაში მომდევნო ოთხი მოსწავლე გახდება ფიზიკაში საქართველოს ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

6. შესარჩევ ტურებში მონაწილე ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატთა ნამუშევრებს ასწორებს

მწვრთნელთა გუნდი.

მუხლი 6. მათემატიკის ნაკრები გუნდის შესარჩევი ტური

1. მათემატიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების შერჩევის პროცედურა ორი ტურისაგან შედგება. შესარჩევ ტურებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

ა) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-11 და მე-12 კლასის მათემატიკის 2025-2026 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-10 ადგილი;

ბ) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-10 კლასის მათემატიკის 2025-2026 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-8 ადგილი.

2. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა ამ მუხლის პირველ პუნქტში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის მითითებული რაოდენობის მოსწავლები, მაშინ საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად, მე-10 კლასისათვის თუ მე–5, მე-6 და მე-7 ადგილებს იყოფს სამი თანაბარი ქულების მქონე მოსწავლე, შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს სამივე).

3. ყოველ ტურზე მათემატიკის ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებს მიეცემათ სამი ამოცანა (სულ 6 ამოცანა). თითოეული ამოცანა ფასდება შვიდქულიანი სისტემით.

4. თითოეულ შესარჩევ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად მიეცემათ 4 ასტრონომიული საათი და 30 წუთი. დროის გადაცილების შემდეგ ჩაბარებული ნაწერი არ გასწორდება და მონაწილეს დაეწერება შეფასება 0.

5. მათემატიკაში საბოლოო შედეგები დადგინდება ორივე ტურში მიღებულ ქულათა საერთო ჯამის მიხედვით.

6. მათემატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც რეიტინგული სიის მიხედვით დაიკავებენ 1-დან მე-6 ადგილებს. რეიტინგულ სიაში მომდევნო ოთხი მოსწავლე გახდება მათემატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

7. შესარჩევ ტურებში მონაწილე ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატთა ნამუშევრებს ასწორებს მწვრთნელთა გუნდი.

მუხლი 7. ბიოლოგიის ნაკრები გუნდის შესარჩევი ტური

1. ბიოლოგიის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების შერჩევის პროცედურა ორი ტურისაგან შედგება. შესარჩევ ტურებში მონაწილების მიღება შეუძლიათ მოსწავლეებს, რომლებმაც მე-10, მე-11 და მე-12 კლასის 2025-2026 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-20 ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი ოცი მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად: თუ მე–20, 21-ე და 22-ე ადგილებს იყოფს სამი მოსწავლე, შესარჩევ ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე).

2. პირველ ტურზე ბიოლოგიის ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებს მიეცემათ 30 დავალება. თითოეული ტესტი ფასდება ერთი ქულით. მეორე ტურზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 30 დავალება, თითოეული დავალება ასევე ფასდება ერთი ქულით.

3. როგორც პირველ, ისე მეორე შესარჩევ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად მიეცემათ

2 ასტრონომიული საათი. დროის გადაცილების შემდეგ ჩაბარებული ნაწერი არ გასწორდება და მონაწილეს დაეწერება შეფასება 0.

4. ბიოლოგიაში ნაკრები გუნდის საბოლოო შემადგენლობა დადგინდება პირველ და მეორე ტურებში მიღებული ქულათა საერთო ჯამის მიხედვით.

5. ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც რეიტინგული სიის მიხედვით დაიკავებენ 1-დან მე-4 ადგილებს. რეიტინგულ სიაში მომდევნო ოთხი მოსწავლე გახდება ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

6. შესარჩევ ტურებში მონაწილე ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატთა ნამუშევრებს ასწორებს მწვრთნელთა გუნდი.

მუხლი 8. ქიმიის ნაკრები გუნდის შესარჩევი ტური

1. ქიმიის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების შერჩევის პროცედურა ორი ტურისაგან შედგება. შესარჩევ ტურზე დაიშვებიან მოსწავლეები, რომლებმაც მე-10, მე-11 და მე-12 კლასის 2025-2026 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-15 ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი თხუთმეტი მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მე-15 ადგილის ქულის მქონე მინორანტი.

2. პირველ ტურზე ქიმიის ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებს მიეცემათ ხუთი ამოცანა, რომელთა ჯამური შეფასება შეადგენს 100 ქულას. მეორე ტურზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა ხუთი ამოცანა, რომელთა ჯამური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

3. როგორც პირველ, ისე მეორე შესარჩევ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად მიეცემათ 5 ასტრონომიული საათი. დროის გადაცილების შემდეგ ჩაბარებული ნაწერი არ გასწორდება და მონაწილეს დაეწერება შეფასება 0.

4. ქიმიაში ნაკრები გუნდის საბოლოო შემადგენლობა დადგინდება პირველ და მეორე ტურებში, მიღებულ ქულათა საერთო ჯამის მიხედვით.

5. ქიმიაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც რეიტინგული სიის მიხედვით დაიკავებენ 1-დან მე-4 ადგილებს. რეიტინგულ სიაში მომდევნო ოთხი მოსწავლე გახდება ქიმიაში საქართველოს ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

6. შესარჩევ ტურებში მონაწილე ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატთა ნამუშევრებს ასწორებს მწვრთნელთა გუნდი.

მუხლი 9. ინფორმატიკის ნაკრები გუნდის შესარჩევი ტური

1. ინფორმატიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების შერჩევის პროცედურა ორი ტურისაგან შედგება. ნაკრების შესარჩევ ტურებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

ა) მოსწავლეებს, რომლებმაც 2026 წელს მე-11 და მე-12 კლასების ინფორმატიკის ოლიმპიადაში დაიკავეს 1-10 ადგილი და დააგროვეს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 1/3-ისა.

ბ) მოსწავლეებს, რომლებმაც 2026 წელს მე-9 და მე-10 კლასების ინფორმატიკის ოლიმპიადაში დაიკავეს 1-10 ადგილი და დააგროვეს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 1/3-ისა.

გ) მოსწავლეებს, რომლებმაც 2026 წელს მე-7 და მე-8 კლასების ინფორმატიკის ოლიმპიადაში დაიკავეს 1-10 ადგილი და დააგროვეს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 1/3-ისა.

2. გუნდის წევრობის კანდიდატებს უნდა მიეცეთ სამი ამოცანა, სულ 6 ამოცანა, რომელთა ამოხსნისათვის კანდიდატებმა უნდა შეადგინონ პროგრამა (ე. წ. კომპიუტერული კოდი).

3. თითოეულ შესარჩევ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად უნდა მიეცეთ 5 (ხუთი) ასტრონომიული საათი.

4. მოსწავლეთა შედგენილი პროგრამები უნდა შემოწმდეს წინასწარ მომზადებული ტესტებით (ავტომატიზებული მატესტირებელი პროგრამები), რომლებიც ამოწმებენ რამდენად სწორად შეადგინა კონკურსანტმა ამოცანის ამოსახსნელი კომპიუტერული კოდი (პროგრამა).

5. ინფორმატიკაში ნაკრები გუნდის საბოლოო შემადგენლობა დადგინდება პირველ და მე-2 ტურში მიღებულ ქულათა საერთო ჯამის მიხედვით. ამ შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შედეგად ქულებში მიღებული ცვლილებები.

6. ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც რეიტინგული სიის მიხედვით დაიკავებენ პირველიდან მე-4 ადგილებს. შესარჩევ ტურებში თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ამოცანების ამოხსნისთვის დახარჯული ჯამური დროის სიმცირეს.

7. რეიტინგულ სიაში მომდევნო ოთხი მოსწავლე გახდება ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდის რეზერვისტი. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვისტებს შორის არიან მე-12 კლასელები, წვრთნას მათ ნაცვლად გაივლიან რეზერვისტებს შორის არ მოხვედრილი რეიტინგული სიის მომდევნო უმცროსკლასელები.

8. შესარჩევ ტურებში მონაწილე ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატთა ნამუშევრებს ასწორებს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა.

მუხლი 10. საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევი ტურების ორგანიზება

1. შესარჩევი ტურები გაიმართება შემდეგი განრიგით:

ა) ფიზიკა

ა.ა) პირველი ტური - 2026 წლის 15 აპრილი

ა.ბ) მეორე ტური - 2026 წლის 16 აპრილი

ბ) მათემატიკა :

ბ.ა) პირველი ტური - 2026 წლის 18 აპრილი

ბ.ბ) მეორე ტური - 2026 წლის 19 აპრილი

გ) ქიმია:

გ.ა) პირველი ტური - 2026 წლის 2 მაისი

გ.ბ) მეორე ტური - 2026 წლის 3 მაისი

დ) ინფორმატიკა:

დ.ა) პირველი ტური - 2026 წლის 9 მაისი

დ.ბ) მეორე ტური - 2026 წლის 10 მაისი

ე) ბიოლოგია:

ე.ა) პირველი ტური - 2026 წლის 25 აპრილი

ე.ბ) მეორე ტური - 2026 წლის 26 აპრილი

2. ყველა საგანში შესარჩევ ტურებზე მოსწავლეთა რეგისტრაცია დაიწყება 8:30 საათზე, ტურების ჩატარების ადგილზე.

3. ყველა საგანში პირველ შესარჩევ ტურში თითოეულმა მონაწილემ რეგისტრაციის დღეს თან უნდა იქონიოს დაბადების მოწმობა ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, პასპორტი).

4. თითოეული მონაწილე ვალდებულია პირველი შესარჩევი ტურის დაწყების წინ შეავსოს ამ ბრძანების N2 დანართით დამტკიცებული სააპლიკაციო ფორმა, ამასთან, ყოველი შესარჩევი ტურის წინ გაიაროს რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სპეციალურ ფორმაზე ხელის მოწერას ან დასწრების აღნიშვნას.

5. შესარჩევი ტურების დროს მონაწილეები უზრუნველყოფილნი იქნებიან მსუბუქი კვებით, წყლით და საკანცელარიო ინვენტარით.

მუხლი 11. შესარჩევი ტურების მონაწილეთა უფლება-მოვალეობები

1. შესარჩევი ტურის მიმდინარეობისას მონაწილეს ეკრძალება:

ა) ნაშრომზე მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;

ბ) მობილური ტელეფონის, სმარტ საათის, ყურსასმენის ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მოწყობილობის გამოყენება;

გ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების (გარდა ფონდის მიერ გადაცემული სპეციალური სამუშაო ფურცლებისა) და სხვათა გამოყენება;

დ) სხვა მონაწილესთან კომუნიკაცია;

ე) სხვისი ნამუშევრის გადახედვა, გამოყენება ან მასალების გაცვლა;

ვ) დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით;

ზ) სხვა შესარჩევი ტურის მონაწილისათვის ხელის შეშლა რაიმე ფორმით;

თ) ორგანიზატორის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა;

ი) დროის ამოწურვის შემდეგ ნაშრომზე მუშაობის გაგრძელება.

2. მონაწილე ვალდებულია, ტურის დაწყებამდე სრულად გამორთოს დასახელებული მოწყობილობები და ტურის მიმდინარეობისთვის სხვა არასაჭირო პირად (ჩანთა, ქურთუკი და ა.შ.) და აკრძალულ ნივთებთან ერთად ჩააბაროს ზედამხედველ პირს ან განათავსოს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

3. აკრძალული მოწყობილობისა და ნივთების ფლობა ტურის მიმდინარეობისას ჩაითვლება წესის დარღვევად, მიუხედავად მისი გამოყენებისა.

4. ტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ელექტრონული მოწყობილობის გამოყენების საჭიროებას წინასწარ განსაზღვრავს ორგანიზატორი.

5. ტურის მიმდინარეობისას სივრცის დატოვება დასაშვებია მხოლოდ ზედამხედველის ნებართვით. გახარჯული დრო არ ემატება ტურის ხანგრძლივობას.

6. შესარჩევი ტურის პროცესზე შესაძლებელია განხორციელდეს ვიდეოჩაწერა. ამის შესახებ ტურის მონაწილეები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი.

7. ვიდეოჩანაწერი გამოიყენება მხოლოდ შესაძლო დარღვევების განხილვისა და ადმინისტრაციული მიზნებისთვის და შეინახება ჩაწერიდან ერთი თვის განმავლობაში.

8. შესარჩევი ტურის მონაწილე (გარდა ინფორმატიკის შესარჩევი ტურის მონაწილისა) უფლებამოსილია ნახოს თავისი ნაშრომების ელექტრონული ვერსია ვებ-გვერდზე https://olympics.emis.ge.

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნაშრომები სპეციალური კოდის გამოყენებით ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული პირისათვის.

მუხლი 12. საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების კანდიდატების მიერ შესარჩევი ტურების შედეგების გასაჩივრება

1. შესარჩევ ტურებზე მოსწავლის მიერ მიღებული შეფასება ან შესარჩევი ტურის პროცედურული დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს საპრეტენზიო კომისიაში ნაშრომების ელექტრონული ვერსიების გამოქვეყნებიდან ორი დღის განმავლობაში.

2. შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების განხილვის მიზნით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საპრეტენზიო კომისია და მტკიცდება საპრეტენზიო განაცხადის ფორმა.

3. საპრეტენზიო კომისია განიხილავს მხოლოდ ტესტის/ამოცანის იმ დავალების შეფასების სისწორეს, რომელიც მითითებული იყო საპრეტენზიო განაცხადში. საპრეტენზიო კომისიას საპრეტენზიო განაცხადის შეტანიდან არაუმეტეს 5 დღის ვადაში გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება ან დასკვნა. მათემატიკის, ინფორმატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის საპრეტენზიო განაცხადის განხილვისა და პირველი და მეორე შესარჩევი ტურების შედეგების გათვალისწინებით, დგინდება მოსწავლეთა საბოლოო რეიტინგული სია ნაკრები გუნდის წევრებისა და რეზერვისტების მითითებით და ქვეყნდება ფონდის ვებგვერდზე (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად).

4. შესარჩევი ტურების შედეგებისა და საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებსა და სარეზერვო შემადგენლობას ამტკიცებს ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 13. საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება/წვრთნა

1. თითოეული ნაკრები გუნდის წევრებს საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადისთვის წვრთნიან/ამზადებენ ნაკრები გუნდის მწვრთნელები (ლიდერი, თანალიდერი, ასისტენტი) და დამხმარე პედაგოგ(ებ)ი.

2. საქართველოს ნაკრები გუნდების დაკომპლექტების შემდეგ, **ფიზიკის, მათემატიკისა და ინფორმატიკის ნაკრები** გუნდის წევრები, რეზერვისტებთან ერთად, საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე დადგენილი წესის შესაბამისად, გაივლიან **ერთთვიან** მომზადებას; მომზადების პროგრამაში შედის ხანმოკლე საწვრთნელი შეკრება ქალაქგარეთ ნაკრები გუნდის წევრებისათვის (7 დღე). საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები **ბიოლოგიასა და ქიმიაში,** რეზერვისტებთან ერთად, საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე დადგენილი წესის შესაბამისად, გაივლიან **14 კალენდარულ** დღიან მომზადებას.

3. იმ შემთხვევაში, თუ მათემატიკის, ფიზიკის, ინფორმატიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის რეზერვისტებს შორის არიან მე-12 კლასელები, წვრთნას მათ ნაცვლად გაივლიან რეზერვისტებს შორის არ მოხვედრილი რეიტინგული სიის მომდევნო უმცროსკლასელები. იმ შემთხვევაში, თუ

რეიტინგული სიის მომდევნო წევრი უარს იტყვის წვრთნაში მონაწილეობაზე, მის ნაცვლად წვრთნას გაივლის სიის მომდევნო უმცროსკლასელი წევრი.

4. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, **მათემატიკაში მომზადების** პირველ ეტაპს დაიწყებს **2026 წლის 8 ივნისს და დაასრულებს 2026 წლის 30 ივნისს თბილისში, მეორე ეტაპი - შეკრება ქალაქგარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 2026 წლის 1 ივლისიდან 2026 წლის 7 ივლისის ჩათვლით.**

5. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, **ფიზიკაში მომზადების** პირველ ეტაპს დაიწყებს **27 მაისს და დაასრულებს 2026 წლის 18 ივნისს თბილისში, მეორე ეტაპი - შეკრება ქალაქგარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 2026 წლის 19 ივნისიდან 2026 წლის 25 ივნისის ჩათვლით.**

6. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, **ინფორმატიკაში მომზადების** პირველ ეტაპს დაიწყებს **8 ივნისს და დაასრულებს 2026 წლის 30 ივნისს თბილისში, მეორე ეტაპი - შეკრება ქალაქგარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 2026 წლის 1 ივლისიდან 2026 წლის 7 ივლისის ჩათვლით.**

7. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, **ბიოლოგიაში მომზადების** ეტაპს დაიწყებს **2026 წლის 25 ივნისს და დაასრულებს 2026 წლის 8 ივლისს.**

8. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, **ქიმიაში მომზადების** ეტაპს დაიწყებს **2026 წლის 25 ივნისს და დაასრულებს 2026 წლის 8 ივლისს.**

მუხლი 14. ნაკრები გუნდების მონაწილეობა საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე

1. საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელად ითვლება ლიდერი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია საქართველოს ფარგლებს გარეთ დელეგაციის წინაშე წამოჭრილი ყველა პრობლემის მოგვარებაზე.

2. ნაკრები გუნდის თითოეული წევრი იცავს გუნდურ დისციპლინას და ემორჩილება მწვრთნელების - ლიდერის, თანალიდერის, ასისტენტის მითითებებს.

3. ნაკრები გუნდის წევრის შეცვლა რეზერვისტით შესაძლებელია ნაკრები გუნდის წევრის ავადმყოფობის, საკუთარი ინიციატივით ნაკრები გუნდის წევრობაზე უარის თქმის ან სხვა გაუთვალისწინებელი მიზეზის შემთხვევაში, საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე ნაკრები გუნდის წევრთა მონაცემების წარდგენამდე.

4. ლიდერი ავადმყოფობისას ან სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევაში შეიძლება ჩაანაცვლოს თანალიდერმა, თანალიდერი - ასისტენტმა, ასისტენტი - დამხმარე პედაგოგმა.

5. საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე ნაკრები გუნდის თითოეულ წევრს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ერთად განემარტება საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობის წესები და დადგენილი სხვა პროცედურები.

მუხლი 15. საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებზე ნაკრები გუნდების მონაწილეობის ადმინისტრირების ბიუჯეტი

1. საერთაშორისო ოლიმპიადებზე საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს ფონდი ,,წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების" პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 31 დეკემბრის №1864218 ბრძანების დანართის ,,საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის“ მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (პროგრამული კოდი: 32 02 04 03), მათ შორის დამატებითი

დღეების ფაქტობრივ ხარჯებს. აღნიშნული მუხლის მიხედვით გაწერილი ხარჯები ფონდის მიერ გაიწევა ,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად.

2. ნაკრები გუნდების მწვრთნელთა გუნდის მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის დაქირავების, სადღეღამისო და ვიზის ხარჯები ანაზღაურდება ფონდის თანამშრომელზე მივლინების მუხლით, ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

3. ნაკრები გუნდების მოსწავლეების მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის დაქირავების, დღიური, ვიზების, პასპორტების დამზადებისათვის და ასევე სხვა საჭიროებებისათვის განკუთვნილი თანხები, ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ჩაერიცხება შესაბამის ანგარიშვალდებულ პირს, წინასწარ, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტში წარმოდგენილი ინვოისების შესაბამისად. ანგარიშვალდებულ პირებად განსაზღვრულია შესაბამისი საგნის ოლიმპიადის მთავარი მწვრთნელი - ლიდერი.

4. საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების საწევრო/რეგისტრაციის/მონაწილეობის გადასახადის უზუნველყოფა მოხდება ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანების შესაბამისად, რომელსაც საფუძვლად დაედება ლიდერების - მთავარი მწვრთნელების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მომართვა თანდართული ინვოისებით.

დანართი №2
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 13 მარტის N309265 ბრძანებით

2026 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატებისთვის ჩასატარებელ შესარჩევ ტურში მონაწილის სააპლიკაციო განაცხადის ფორმა

(ივსება კანდიდატის მიერ პირველი შესარჩევი ტურის დაწყებამდე თითოეული საგნის მიხედვით)

1	სახელი		
2	გვარი		
3	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)		
4	დაბადების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა)		
5	საცხოვრებელი ადგილის მისამართი		
6	ტელეფონი (ბინა, მობილური)		
7	ელექტრონული ფოსტა		
8	სკოლის სრული დასახელება		
9	საგანი		
10	საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობის გამოცდილება	☐ დიახ _____ (წელი)	☐ არა

გავეცანი საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევი ტურის ჩატარების პროცედურებს და მზად ვარ, დადგენილი პირობებით მონაწილეობა მივიღო შესარჩევ ტურებში.

ასევე, ნებაყოფლობით ვაცხადებ ინფორმირებულ თანხმობას და სსიპ შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს უფლებას ვაძლევ, რომ 2026 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევი ტურების ორგანიზებისას ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს შესაბამისი მიზნებისთვის.

_____

კანდიდატის ხელმოწერა

_____

თარიღი